საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN14

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

01 ნოემბერი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. რუსუდან კოვზირიძე;, 6. ჯემალი ისაკაძე,7. ნატალია ასათიანი, 8.იზა მაგრაქველიძე; 9. გიორგი ბარათაშვილი;10. დავით ცხადაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: 0;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. საკრებულოს წევრების ჯემალ ისაკაძისა და ნინო მახათაძის ერთობლივი განცხადების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106[1] მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე წესი განსაზღვრავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების (სამეწარმეო თუ არასამეწარმეო (არაკომერციული)) ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებს.

აღნიშნული წესის დამტკიცება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიულ პირების (სამეწარმეო თუ არასამეწარმეო (არაკომერციული)) ეფექტურ საქმიანობას, შესაძლებლობა ექნებათ განკარგონ თავიანთ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები და გაზარდონ შემოსავლები საკუთარ ბიუჯეტში.

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, გიორგი ბარათაშვილმა;

გადაწყვიტეს:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" გადაწყვეტილება. ფრაქციის წევრების ჯემალ ისაკაძისა და ნინო მახათაძის ერთობლივი განცხადება (საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული განცხადება N

19/29223051-29 01.11.2022 წელი) , სადაც განმცხადებლები აცნობებენ, რომ ტოვებენ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობას. საკრებულოს წევრების მიერ ფრაქციიდან გასვლის შემთხვევაში მათი გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს საკრებულოს ბიუროს.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, ომარ ჯიხვაშვილმა;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. ცნობად უნდა იქნას მიღებული ფრაქციის წევრების ჯემალ ისაკაძისა და ნინო მახათაძის განცხადება (N 19/29223051-29 01.11.2022 წელი) ფრაქციის დატოვების შესახებ და ფრაქციის წევრის უფლებამოსილება შეუწყდეთ 2022 წლის 01 ნოემბრიდან.

მუხლი 2. იურიდიულ საკითხთა კომისიის გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს საკრებულოს ბიუროს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: